

გურული ქალის კულტი, უფლებები, საოჯახო ხელსაქმე და ტანსაცმელი

ოზურგეთის რაიონი
კ. მეგრელიძის სახელობის
სოფ. შრომის საჯარო სკოლა
თალიკო ხუციშვილი
X კლასი

ქალის კულტი და უფლებები



საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფა განსაზღვრავდა ქალის ქალის მდგომარეობას გურიაში.

რევოლუციამდელი პერიოდის ოჯახებში აშკარად ემიჯნებოდნენ ერთმანეთს მაღალი წრის და დაბალი ფენებიდან (უმეტესად გლეხებიდან) გამოსული ქალები. ისინი ერთმანეთისაგან განხვავდებოდნენ იერ-სახით, ჩაცმულობით, განათლებით, ცხოვრების წესით, თუმცა მათი უფლებები მაინც ნაწილობრივ შეზღუდული იყო, ვინაიდან ოჯახის უფროსის ანუ “თავის-კაცის” ადგილი ყოველთვის მამაკაცს ეჭირა, მიუხედავად იმისა საინტერესოა შეეძლო თუ არა გაძლოდა ოჯახს, ემართა მეურნეობა!...თუმცა გურულ ოჯახში უფროსი რძალი-დიასახლისი ყოველთვის აწესებდა მორიგეობას, გაუყოფელ, ასე ვთქვათ, მთლიან ოჯახში ღამით ღამით ნაწილდებოდა ხვალის-მეორე დღის საქმე. თუ ერთ-ერთი რძალი სახლს ასუფთავებდა, მეორე რეცხავდა,

მესამე საქონელს უვლიდა და ა.შ. ფუნქციებს ხშირად იცვლიდნენ რძლები და რაც მთავარია, როგორც ქმრების, ისე დედამთილ-მამამთილის მოვლითაც იყვნენ დაკავებულნი და ღრმა პატივისცემას გამოხატავდნენ ასაკოვანი ოჯახის წევრების მიმართ.

პატარა ბავშვებს უმეტესად დედამთილები უვლიდნენ, მორიგე რძალი კი დღედაღამ ფუტკარივით დაულალავად ფუსფუსებდა. ორსულ ქალს საქმეს არ ავალებდნენ, თავს ევლებოდნენ, მეტიც, თავისუფლებდნენ მორიგეობისაგან.

იმ შემთხვევაში, თუ ოჯახი გაიყოფადა, ცალკე და სახლდებოდა, გუნებრივია, რძლებს შორის მორიგეობის პრინციპიც ირღვეოდა. გურიაში ქალების წვლილი სამეურნეო საქმიანობაში მცირედი იყო, ისინი შედარებით მსუბუქი სამუშაოთი-ბაღ-ბოტნის მოვლით, სამუშაოზე-ბარვისა და თოხნის დროს საჭმლის მიტანით იყვნენ დაკავებულნი. სამწუხაროთ, მამაკაცის ურთულესი საქმიანობის-თოხნის, ბარვის, მოსავლის აღებისა და დაბინავების სიმძიმე მხოლოდ ქვრივ დედაკაცს აწვა მხრებზე, ისიც იჭირისუფლოს ან ცუდ, ანუ როგორც გურიაში იტყვიან: გლახა ჭირისუფლიანს,“ ცუდი ნათესავების მქონეს. ეთნოგრაფიულ ჩანაწერებში რატომღაც არ წერენ გურული ქალის ავკარგიან, შრომისმოყვარე ბუნებაზე, მის სამამაცო ზნეზე, რაც პირადად ჩემს გულისტკივილს იწვევს.

ამას ადასტურებს ჩემს მიერ სოფელში ჩაწერილი ჩანაწერი.

უხუცეს 1914 წელს დაბადებულ ნინა გოგომესთან: გურიაში, ნენა, ბევრ ქალს ყავდნენ ხუთი-ექვსი და ხშირად ათი შვილიც. ფინთი (ცუდი) დრო იყო, იყო შემთხვევები, ოჯახის თავი კაცი ომში, ყვავილათი ან ხოლერით მომკვტარა, მარა უმამობაი არ უგვრძენია მის ობლებს.

საწყალი ქალები ან თხოვდებოდნენ, ან პატიოსანი შრომითა და წვა-დაგვით ირჩენდნენ თავსა და ოჯახს „ უფროს“ ქალის ბრძნული რჩევას წყნარად ისმენდნენ უმცროსები, მის გამოჩენაზე ფელზეც დგებოდნენ ხოლმე და ზედმეტ ლაპარაკს ანუ ბრტყელ-სიტყვაობას ერიდებოდნენ, ამით ცდილობდნენ ღრმა პატივისცემა და მორიდება გამოეხატათ მათ მიმართ.

საოჯახო ხელსაქმე

გურიაში ქალების ყველაზე საყვარელი და სასიკეთო საქმიანობას წარმოადგენდა საოჯახო საქმის კეთება-შესწავლა, რაც პატარაობიდან იწყებოდა, წრთომა სიბერემდე გრძელდებოდა. გურიაში გოგონას საქმეს 5 წლიდან არჩევდნენ, 10-12 წლისას კი შეეძლო ქალსავით რთული საქმიანობის - სახლის დაგვის, ჭურჭლის გარეცხვის, ქათმის ბუმბულით ბალიშების გაკეთების, პატარა ჭურჭლით წყლის მოტანის შესრულება, განსაკუთრებით ხელსაქმე - ქსოვა, კერვა, ქარგვა ემარჯვებოდა ჯერ ქალიშვილ გოგონებს. მათ საქმიანობას „სამოცვეთოს“ ეძახდნენ.



შრომის ორგანიზაციებში ცვლილებები ოჯახის სატრუქტურის ცვლილებებითან ერთად, ქალის მდგომარეობის შეცვლამაც გამოიწვია.

სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ ქალს ოჯახში მამაკაცი ეხმარებოდა, თუნცა საოჯახო საქმის მთელი სიმძიმე მაინც ქალს მხრებზე. ქალის საქმედ დარჩა საჭმლის მომზადება, სახლის დალაგება, რეცხვა, გაუთოება, ფრინველი მოვლა და სხვა. გურიაში კოლმეურნე ქალთა ძირითადი საქმიანობა ჩაის კრეფა იყო. ქალის შრომა მეჩაიობის რაინებში ჩამყვანი იყო.

ეკონომიკური დამოუკიდებლობის შედეგია მისი თანასწორობა მამაკაცთან. ქალი თანდათან გადაიქცა ოჯახის დამოუკიდებელა დიახლისად. ის ოჯახის სრულუფლებანი წევრი გახდა, თუმცა მნიშვნელოვან საოჯახო საქმეს - შვილების დაქორწინებას, ძვირადღირებულ ნივთების ყიდვას, ქალი მეუღლის გარეშე მაინც არ წყვეტდა.

ტ ა ნ ა ნ ს ა ც მ ე ლ ი

ქართული კოსტუმის მრავალფეროვნება გურიაში გავრცელებულ სამოსელსაც მოიცავს. ლიტერატურაში გურულად წოდებულ ამ ტანსაცმელში ისახეობაა ნაგულისხმევი, რომელიც ქართულ ჩაცმულობის შემოსვლამდე ფართოდ იყო გავრცელებული.

აღნიშნული ჩაცმულობისთვის საჭირო მასალაში ფაბრიკულთან ერთად ადგილობრივი საფეიქრო ნაწარმიც ერია. XIX საუკუნეში შინამზადი ქსოვილების როლი საგრძნობლად მცირდება, აღარ გვხდება ტრადიციული დარგების - სელისა და კანაფის ქსოვილები, თუმცა მათგან მიღებული ძაფის მრავალმხრივ გამოყენებას XX საუკუნეშიც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. აქ იცოდნენ შერეული ძაფის ბადეების ქსოვაც. ს . ნაბელავში (ჩოხატაურის რაიონი) დღესაც სინანულით იხსენიებენ ბადის მქსოველი ქალის ეფროსინე მგალობლიშვილის სახელს.

მთხრობელთა გადმოცემით, სელისა და კანაფის ძაფს კარგი სიმაგრე ჰქონია და ფაბრიკული ძაფის გავრცელებამდე კარგი გასავლიც ჰქონდა. კანაფის ძაფს გრებდნენ და



შინაურობაში სასიარულო ფეხსაცმელს უდგამდნენ ძირად, ძველი ტრადიციის გამოძახილად უნდა მივიღოთ ბამბისა და კანაფის ძაფით მოქსოვილი ე.წ. „საბუკე“ (მაგარი) კაბების არსებობის ფაქტიც.

წინა საუკუნეთა მსგავსად, XIX საუკუნეშიც ხელოსნურ წარმოებას მისდევდნენ. თითქმის ყოველი ოჯახი თვითონ ამზადებდა არსებობისათვის საჭირო პროდუქტებს.


1873 წელს გაზეთ „დროებაში“ ოზურგეთიდან მოწერილ კორესპოდენციაში ვკითხულობთ: „...უწინ ჩვენი ხალხი კმაყოფილდებოდა თავისი ნაწარმოებით, ის თავის მოქსოვილს დარაიას, შალს იცვამდა, ხარის ტყავს გაახმოზდა და იმისგან თვითონვე შეიკერავდა ჩუსტებს, წაღებს ... რაკი სხვა ქვეყნებთან ურთიერთობა გაჩნდა, ვაჭრებმა მოიტანეს ჩითი, ნარმა, ჭკქა, კარგი მაუდი, კარგი გამძლე ტყავები... რაკი რომ ჩვენ ხალხმა ნახა უვარგისობა თავის და ვარგისობა ფართლის, დაანება თავი

შალის ქსოვას, დარაიას და იცვამს, იხურამს სულ სხვა შაღებს, მაუდებს, წაღებს... უფრო გვიან 1899 წელს გაზეთი - „კვალი“ შინაური წესით დამზადებული ქსოვილების მოსპობის საკითხსაც ეხება: „წინათ სანამ ჩვენი ცხოვრება „გაქალაქდებოდა“ დედაკაცს ბევრი საქმე ჰქონდა ოჯახში, გარდა საოჯახო ყოველდღიური საქმეებისა, ქალი ოჯახის წევრთა საყოფ ტანისამოსს, მატყლსა და ბამბეულს ქსოვდა და თვითონვე ჰკერავდა. შემდეგ როცა „ქვეყანა გაქალაქდა“, საზოგადოებაში ის აზრი დატრიალდა, რომ ქალების წინანდებური შრომა სირცხვილიაო, „მატყლის ბრუშნას“ (ჩეჩვას) და ღომის ცეხვას რავა იკადრებს პატიოსანი ვარგებული ქალიო - ასე გაშინჯეთ. სასიძოწი პირობას ამღვდნენ ქალის მშობლებს, შენს ქალს რომი არ გავაცხვიო, ყანაში სადილი არ წავაღებო და სხვა. ამ აზრის გამავრცელებელი მაღალი საზოგადოება (თავადაზნაურობა და სამღვდლოება) იყო.

გურიაში დამზადებული ქსოვილებიდან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ წმინდა ქსოვილები: შალ, აბრეშუმი და ტილო; ასევე შერეული ძაფის პროდუქტი: შალ-აბრეშუმი, შალ-ბამბა, ბამბა-აბრეშუმი, რომელთა მისაღებად რამდენიმე ხერხს მიმართავდნენ: ქსელში ძაფის მონაცველობა, დასამახავი ძაფების ერთად შეცალება და უფრო გავრცელებული ქსელად და ზედად სხვადასხვა ძაფების მოხმარება. ასეთი წესით მიღებუ ნაქსოვს „ტოღრედი“ ერქვა.

მთხრობელთა დამოწმებით ძნელად ტერმინი „ხამი“ კანაფისა და ბამბის ნაქსოვს აღნიშნავდა, რომელსაც გამოუხარშავი კანაფის ძაფის სიუხეზე ნაქსოვშიაც შერეჩენილი ჰქოდა, სწორედ ამ თვისების გამო ეს ქსოვილი ქალის შიდა ბოლოსა და კაცის ხალათებად ე.წ. „ბლუზებად“ გამოუყენებიათ. დასახელებული სახელწოდებიდან უნდა იყოს წამომდგარი გურიაში უხეში კაბის სინონიმებად ნახმარი ტერმინების „საბუკე“ და „ხამუდა“- ხმარება. (გამოყენება)

სატანსაცმელე მასალის გასაკეთებლად ადგილებზე მოიპოვებოდა ნედელული. ზოგიერთი




მოხუცები

სოფელო ბამბის ნაკლებობას განიცდიდა, ზოგი მატყლისას. მატყლის ძირითადად ახალციხიდან შემოჰქონდათ, აბრეშუმის პარკით კი ყველა გამრჯე გლეხის ქალის ოჯახი იყო მომარაგებული. როგორც ცნობილია, ამიერკავკასიაში მოყვანილი აბრეშუმის პარკი საზღვარგარეთაც იგზავნებოდა, ამაში გურული ქალის ნახელავით, ნაოსტატარიც ერია. გურიაში ამ საქმიანობის საუკეთესო ადგილად ლანჩხუთი იყო მიჩნეული.

საფეიქროდ გამზადებული ნედლეულის დამუშავება იმ დროს იწყებოდა, როცა გლეხი „ტეხა-კრეფას“ ანუ საშემოდგომო სამუშაოებს მორჩებოდა. ნედლეულის მოპოვება და დამზადება საკმაოდ რთული იყო. ამიტომ ხშირად მიმართავდნენ კოლექტიურ დახმარებას- „ნადს“.

აბრეშუმის პარკს ოთხ ჯგუფად ახარისხებდნენ. აქედან პივრელი და მეორე ხარისხიდან ქსოვილებისათვის საჭირო ძაფს იღებდნენ. პარკს ჯერ წვრილი ძაფი მოსდევდა, მერე მსხვილდებოდა. პირველად ამოხვეულით წმინდა აბრეშუმს მოქსოვდნენ, მსხვილსა და დაუხვეწელ ძაფს „ჩიჩნჩათ“ წოდებულ ქსოვილზე ხარჯავდნენ. მესამე და მეოთხე ხარისხის პარკიდან ყაჭის ძაფს ამოიღებდნენ, რომლისგან გრძელ წინდებს თუ მოქსოვდნენ. ამ ძაფის ამოსაღებად პარკის საგანგებო დამუშავება სცოდნიათ. ჯერ მიწაში დამარხავდნენ ორი კვირით მაინც, მერე ამოიღებდნენ, გარეცხავდნენ და რამდენიმე ღამით გარეთ ტოვებდნენ - ცვარში „აბუმუზუხებდნენ“. საქვეყნოდ ყოფილა ცნობილი ლანჩხუთელ ქალთა გამორჩეული და იშვიათი ნაშრომი.

გურიის ექსედიციებში ჩაწერილი მასალი მიხედვით (1977, 1978წწ) გურულებს ტანსაცმლის გამოსაჭრელად სამშაბათი, ხუთშაბათი და შაბათი ჰქონიათ შერჩეული. აქედან, სამშაბათს დაჭრილს შავი მოუწევსო, ამიტომ ამ დღეს მხოლოდ სამგლოვიარო ტანსაცმელს



გამოსჭრიდნენ. თან შავის დაჭრამდე მაკრატელს ფერად ქსოვილს გააჭრევინებდნენ ოჯახს შავი არ დაეხედოსო. შაბათი, როგორც ნაკლული დღე მოზარდის სამოსელის გამოსაჭრელად არ ვარგოდა, დღენაკლები იქნებო. კვირას დიდებისთვის შეეძლოთ ჩასაცმელის გამოჭრა, უფრო კობტა გამოვაო. კვირის დარჩენილი დღეებიდან ოთხშაბათა, კუდიანობის დღეს, დაჭრა არ ვარგოდა-მოკლე გამოვაო; პარასკევს ცეცხლში დაიწვებო.

ახალმა დრომ ახალი მოთხოვნილების წინასე დააყენა მოსახელობა. ძველი სახლი და ძველი ავეჯი აღარავის მოსწონდა, არც შინ

დამზადებული ტანსაცმელი აკმაყოფილებდათ. ტუმცა გურულებსი ცხოვრებში დღესაც ცოცხლობს ტრადიცია, ძველთაგან დაკანონებული თუ როდის, კვირის რომელ დღეებში დაადოს მაკრატელი სხვადასხვა დანიშნულების მქონე ნაჭრებს.

აკაკი წერდა, რომ ასე ადვილად მიმზადებელი ხალხი ცოტა მოიძებნებოდა ქვეყანაზე. ამ მხრივ განსაკუთრებული მონდომებით არიან დახახიათებული გურული ქალები, ისინი, რომელთა გარეგნობამ ზოგიერთს სამხრეტ იტალიის ქალები გაახსენა. „ვინც გურიის ხალხს ცოტათი მაინც იცნობს, იმას არ გაუკვირდება აქაური ქალების ამგვარი ქცევა. ბევრი ქალი არ უნდა მოიძებნებოდეს ქვეყანაზე იმდენად ბუნებით ცოცხალი, მოძრავი, ყველაფერი ახლკეს და უცხო რამესი ადვილად მიმრები და შემთვისებელი, როგორც გურულებია. ყველაფერს ახლას და უცხოს, როგორც კარგს, ისივე ავსაც, გურული ძალიან ძალე ითვისებს. ჩვენებური სოფლის ქალი ხედავს, რომ ოზურგეთის „განათლებული და სწავლული“ ქალები ძალიან ფრანტი, მდიდრულად მოდაზე შეკერილი კაბებით ირთვებიან: მაშასადამე, ტანსაცმელშიც განათლება ყოფილაო და ვინც სწავლული და განათლებულია, უთუოდ ფრანტიც უნდა ეცვასო. ამის მოსაზრე ჩვენებური ქალები მოსდგნენ და იკერავენ, რათაც უნდა დაუჯდეთ ძვირფას კაბებს“.

ნაგომარის იარმურკის ერთ-ერთ მხილველი წერდა: „...წახდა, ბატონო, დრო, ქვეყანა გაირყვნა, ყველაფერში თვალთმაქცობა და მეტიჩრობა შემოვიდა. სხდომის რომ დარაიას (შინ

მომზადებული აბრეშუმის მატერია) მოვიქსოვდით და პერანგად შევიკერავდით, ხუთი წელიწდი მეცვა და კიდევ მოწონება ჰქონდა: ახლა რომ ნათლი- მამას დარაიას საპერანგე გავუგზავნე, საყვედური შემომითვალა, რეიზა გამაგლახეო, ახლანდელ დროში ტილო და მიტკლი გლესხაც კი აცვიაო და მე ხომ აზნაურიშვილი ვარო! უშალისკაობით ქალკი გარეთ ვერ გამომიყვანიაო; ჩვენებურს ყოლიფერს ფასი და მოწონება აკლდება, უცხოს და გარეშეს დღითი - დღე ემატება...” ეს მდგომარეობა შეუმჩნეველი არ დარჩენილა ეგნ. ნინოშვილსაც.


მოდურ ჩასაცმელს და „ტანცაობა” თუ „ვიზიტების” წესს, ცხადია, უპირველეს ყოვლისა, მაღალი საზოგადოების ქალები შემოიტანდნენ და ისიც ოზურგეთში, სადაც ძველთაგანვე გურიელთა სახლი ევროპულ კულტურის გადმოღების საუკეთესო მაგალითს იძლეოდა.

საქართველოს ერთიანი ეთნოგრაფიული გამოფენის მეგზურში ვკითხულობთ: „... გამოფენაზე წარმოდგენილია მაღალი წოდების გურული ქალის ტანსაცმელი ელეგი სახელოებიანი (ზედატანი), რომელსაც გაჭრილი სახელოების ნაწიბურები და გულისპირი მდიდრულად აქვს მორთული, ოქრომკერდის ნაქარგი სარტყელი და გულისპირი, ლეჩაქი, აბრეშუმის კაბა და ტყავის ქოშები”.

აღნიშნული კომპლექსი შერეული ხასიათისაა, მისი ერთი ნაწილი, კერძოდ, კაბა, ლეჩაქი, დალალები და ქოშები შერჩეული გურული ქალის იმ ერთიანობის შესავსებად, რომელიც მუზეუმში 5-11 ნომრითაა აღრიცხული. ეს რიგითი მუზეუმში შემოსულია 1911 წლის 29 აგვისტოს, ადგილად ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრის ქ. ოზურგეთია დასახელებული, მომხმარებლად გურულები, მეპატრონედ ნინო კაციას ასული გურიელი, დაბადებით დადიანი. კოლექცია 5 ელემენტისაგან შედგება და ეთნოგრაფიის განყოფილების საინვენტარო დავთარში გურული ქალის ძველებური კოსტიუმის სახელით არის გატარებული. კოლექციის შემადგენლობაში შედის ზედატანი, სახელოები, გულისპირი და სარტყელი.

მოკლე ზედატანი, რომელიც გარეთა სამოსელის ფუნქციას ასრულებს შინდისფერი ხავერდისგან არის

დამზადებული. იგი ხელითაა ნაკერი. ტანზე მომდგარი ეს სამოსელი მთლიანად დასარჩულებულია თეტრი მიტკლით; სახელოებს, რომელნიც აღწერილობით ყურთმაჯებად მოიხსენიებენ, მოყავისფრო აბრეშუმი აქვთ გამოკრული. ზედატანი შედგება წინა ორი კალთისა, უკან ზურგისა და გრძლად დაშვებული დეკორატიული სახელოებისაგან, მერე შეხსნილია; ზედატანი მხრებშია გაკერილი. ტანზე გამოწყობისათვის წინა მხრის ორ ადგილად შიგნიდან გრძლადაა გამოკერილი. აქედან პირველი შედარებით სწოვრე მიემართება. მეორე განზე იდლიისკენაა



გაზიდული. ზედატანის ბოლო

შემოქობილია შინდისფერი აბრეშუმით. წელსზევით სამოსელის ეს ნიმუში უხვადაა შემკული.

წვედა სახელოები მოყვითალო სახიანი ატლასისაა; ხელით ნაკერი იდლიის ხაზი 11 სმ. სიგრძის გაკერვის მერე ბოლომდე გახსნილია. დასამაგრებლად სახელოებს მხარტან მიტკლის

ზონარი აქვთ მოკერებული.

გულისპირი მოყვითალო, სახიანი ატლასისაა; კისერზე მოდებული და წინ გულისპირში ჩაშვებული ორი გახსნილი ზედაპირით. ნაპირები ცოტათი გადაკეცილი და ხელით ამოხვეული. შიდა მხარეს ოქროსფერი არშია აქვთ შემოვლებული. ნაქარგი ისეთივეა როგორც წინა ნივთებზე.

სარტყელი ატლასისაა, გამოკრული აქვს თეთრი აბრეშუმის სარჩული. ნაქარგია ოქროს ძაფით; სარტყელს მიმაგრებული აქვს ორი ტოტი, რომელიც იგივე მასალისაა და მსგავსად შემკობილი.

ეს კომპლექსი გამოფენის მომწყობთა მიერ არის შერჩეული. ისინი ხელმძღვანელობდნენ გურული ლეხსიკონითაც, სადაც გურული შეძლებული ქალის ტანსაცმელია აღწერილი: „ჯამფასის ნიფხავ-პერანგი, ყანაობის კაბა, გრძელი, ნაოჭიანი, გულზე აღილული. წელზე გრძელი, ბრტყელი აბრეშუმის სარტყელი. კერმუხტის ქოშები; თავხურვანუ ჩიხტი კოპი; კაკვილები, თავსარკი (თავსაკრი) მოქარგული, ქათიბი (ბეწვიანი ჩასაცმელი).

ზემოთ დახასიათებული კაბა ლიტერატურაში ქართული კაბის ვარიანტად არის მიჩნეული, აქ ქართული კაბით შედგენილი აღმოსავლეთ საქართველოს ბარში ფართოდ და საქართველოს სხვა კუთხეებში ნაკლებად გავრცელებული ერთობაა წარმოდგენილი